პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნიზმის სხივი

1990 27 თებერვალი სამშაბათი

№25 (6252)

ფასი 3 კაპ.

გაზეთი დაარსდა 1933 წლის 10 მაისს

საქართველოს კპ ცაგერის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

КОМУНИЗМИС СХИВИ орган Цагерского райко ма КП Грузии и райсовета народных депутатов

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

# რევაზ მეთოდეს ძე მახარობლიძე



საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი **რევაზ მეთოდეს ძე მახარობლიძე** რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცაგერის №201 საარჩევნო ოლქის საოლქო-საარჩევნო კომისიამ.

რევაზ მეთოდეს ძე მახარობლიძე დაიბადა 1936 წელს ცაგერის რაიონის სოფელ ლაჯანაში. 1954 წელს დაამთავრა ორბელის საშუალო სკოლა. ხუთი წლის შემდეგ საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი, 1965 წელს კი არაშავმიწანიადაგიანი ზონის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ასპირანტურა ქალაქ მინსკში.

1966 წელს დაიცვა დისერტაცია ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად ლიტვის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში (ქალაქი ვილნიუსი).

1965-1967 წლებში მუშაობდა სსრ კავშირის არაშავმიწანიადაგიანი ზონის სოფლის მეურნეობის ინსტიტუტში (ქალაქი მინსკი) უფროსი ინჟინრისა და უფროსი მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე. 1967 წელს გადმოყვანილი იქნა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში (ქალაქი სოხუმი) კათედრის გამგის თანამდებობაზე.

სკკპ წევრია 1968 წლიდან.

1974 წელს რ. მახარობლიძე გადაყვანილ იქნა სამთო მიწათმოქმედების და სუბტროპიკული კულტურების მანქანების სამეცნიერო-კვლევით და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში (ქალაქი თბილისი) პერსპექტიული თეორიული და ექსპერიმენტალური კვლევის განყოფილების ხელმძღვანელად. 1976-1982 წლებში მუშაობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ლაბორატორიის **გამგედ.**

1982 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მანქანა-ტრაქტორთა პარკის ექსპლოატაციის კათედრის გამგედ.

1981 წელს რ. მახარობლიძეს მიენიჭა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და მიიღო პროფესორის სამეცნიერო წოდება. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა 25 მეცნიერებათა კანდიდატი და 2 მეცნიერებათა დოქტორი.

რ. მახარობლიძე 7 მონოგრაფიის, 30 გამოგონებისა და 130 სამეცნიერო შრომის ავტორია.

მისი გამოგონებების დანერგვით მიღებული ფაქტიურ ეკონომიკური ეფექტი შეადგენს 4 მილიონ მანეთს. ყავს მეუღლე-ფილოლოგი და ორი შვილი. ცხოვრობს ქ. თბილისში.

დეპუტატობის კანდიდატად დასახელა საქართველოს ბიოქიმიკოსთა საზოგადოებამ.

## დეპუტატობის კანდიდატის წინასაარჩევნო პროგრამის თეზისები;

**დეპუტატად არჩევის შემთხვევაში საჭიროდ მიაჩნია დააყენოს და მხარი დაუჭიროს შემდეგი საკითხების გადაწყვეტას:**

**საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას პარლამენტური გზით. ამ მიზნის მისაღწევად უახლოეს დროში უზენაესმა საბჭომ უნდა გადაწყვიტოს შემდეგი ამოცანები:**

**პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის**

**გააუქმოს კონსტიტუციის მე-6 მუხლი, დაიკანონოს მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემა.**

**შეიმუშაოს რეფერენდუმების ჩატარების წესი. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები გადაწყვიტოს რეფერენდუმის წესით.**

**მიაღწიოს ეროვნული საჯარისო ფორმირებების შექმნას.**

**განსაზღვროს საქართველოს მოქალაქის სტატუსი.**

**შემოიღოს კანონი თავისუფალი პროფკავშირების დაშვების შესახებ, დემოკრატიული კანონი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესახებ.**

**დაამყაროს დიპლომატიური ურთიერთობა მსოფლიოს ქვეყნებთან და გახდეს სრულუფლებიანი წევრი საერთაშორისო გაერთიანებისა.**

**ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის**

**დაუშვას საკუთრების ყველა ფორმა თანაბარი უფლებებით.**

**უპირატესობა მიეცეს მცირე მასალატევადობისა და დიდი მეცნიერებატევადობის დარგებს. პრიორიტეტულ მიმართულებად ჩაითვალოს სამთო მიწათმოქმედების მექანიზაციისათვის საჭირო მანქანათმშენებლობის განვითარება. განვითარდეს უპირატესად ალტერნატიული ენერგეტიკული საშუალებები (მზის, ქარის).**

**მომზადდეს პირობები საბაზო ეკონომიკაზე თანდათან გადასვლისათვის.**

**სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის განვითარებაში უპირატესობა უნდა მიეცეს ეროზიის საწინააღმდეგო რესურსდამზოგ ტექნოლოგიებს, ტექნიკურ საშუალებებს.**

**მოხდეს საზღვარგარეთის ქვეყნებთან სავალუტო ოპერაციების დამოუკიდებელი მართვა.**

**იურიდიული და სამართლებრივი დამოუკიდებლობისათვის**

**რესპუბლიკის კანონმდებლობა უნდა ემყარებოდეს ადამიანის უფლებათა განმსაზღვრელ საერთაშორისო აქტებს.**

# ქვეყნის მშრომელებს

ძვირფასო ამხანაგებო!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოგმართავთ თქვენ ჩვენი ისტორიის ძნელ ჟამს, რომელზეც ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნისა და ხალხის შემდგომი ცხოვრება.

ჩვენს საზოგადოებას, გარდაქმნის წყალობით, მრავალი ათწლეულის მანძილზე პირველად მიეცა შესაძლებლობა დასდგომოდა პოლიტიკასა და ეკონომიკაში, სოციალურ და სულიერ ცხოვრებაში რადიკალური რეფორმების გზას, ზნეობრივი განწმენდის გზას.

დემოკრატიული პროცესები განუხრელად მიიწევს წინ. ადამიანებში გაღვიძა საზოგადოებრივმა აქტიურობამ, ღრმა პოზიტიური ცვლილებების წყურვილმა.

ქვეყანაში გაშლილი დისკუსიის დროს მიმდინარეობს პრინციპული სჯა-ბაასი ჩვენი საზოგადოებრივი შენობის ფუნდამენტურ განახლებაზე, ყოველდღიურ საზრუნავთა და საჭიროებათა გადაჭრაზე. ბევრი რამ არ გვაკმაყოფილებს დღევანდელ ცხოვრებაში, იწვევს ჩვენს წუხილს. სავსებით გასაგებია მშრომელთა აღშფოთების სათავეები, როცა ისინი აწყდებიან უყაირათობისა და არაკომპეტენტურობის, უპასუხისმგებლობისა და ბოროტმოქმედებათა ფაქტებს. საბჭოთა ადამიანები გულისტკივილითა და შეშფოთებით რეაგირებენ მწვავე ეროვნებათშორის კონფლიქტებზე, ექსტრემიზმზე, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის უხეშ დარღვევებზე.

ჩვენთვის სავსებით გასაგებია, რომ მხოლოდ მთელი ხალხის ძალისხმევას, გადაუდებელ და მტკიცე ძალისხმევას, შეუძლია გამოიყვანოს ქვეყანა ახლანდელი რთული მდგომარეობიდან. ახლა, განსაკუთრებით, გვჭირდება თანხმობა და მოქმედების ერთიანობა, იმის გამბედაობა, რომ დავიცვათ გარდაქმნა, მტკიცედ ვიაროთ წინ სოციალისტური განახლების გზით.

ვერ დავუშვებთ, რომ ჩვენს საზოგადოებაში ლაგამი აიწყვიტონ და გვაჯობონ ეროვნულ-ეგოისტურ ძალებმა, რომლებიც ცდილობენ ... გარდაქმნის ლოზუნგებს ... ხადებს, მაგრამ არანაირად იერიში მიაქვს გარდაქმნაზე. ვინც მიზნად ისახავს ანგარებითს ინტერესებს, პატივმოყვარე ამბიციებს, უბიძგებს ხალხს სამოქალაქო კონფრონტაციისაკენ, მოქმედებს პრინციპით: „რაც უარესი, მით უკეთესი“.

ამასთან კადრულობენ ყველაფერს: არსებული სიძნელეებითა და შეცდომებით სპეკულაციას: ძალმომრეობის, ეკონომიკური უპასუხისმგებლობისა და მოქალაქეობრივი ურჩობის, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინსტიტუტებზე ზემოქმედების პირდაპირ წაქეზებას. ქვენა ვნებებისა და ინსტიქტების გაღვივება, სიცრუე, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და სამართალდამცავი ორგამოების, ჩვენი არმიის მიმართ ცილისწამება—ყოველივე ამას უსირცხვილოდ მიმართავენ.

სწორედ ასეთი ექსტრემისტული ძალების ზემოქმედებით ქვეყანაში გაიმართა არაერთი მანიფესტაცია, რომლებიც განახლების ლოზუნგებით დაიწყო, ანტისაბჭოური მოწოდებებითა და არეულობით, ხულიგნური გამოხდომებით და დარბევებით, ადამიანთა მწუხარებითა და უბედურებით დამთავრდა.

ჩვენ ვერ შევურიგდებით და არც უნდა შევურიგდეთ სხვადასხვა ჯურის დემაგოგებისა და პოლიტიკანების ანტიდემოკრატიულ, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას, ეროვნული შუღლის გაღვივებას, უხეში ზეგავლენისა და დაშინების მათეულ ხერხებს, იმის ცდებს, რომ გამოიწვიონ პარტიული და საბჭოთა ორგანოების და მათი მუშაკების დემორალიზაცია, საზოგადოებაში მტრობისა და გაფორების, შიშისა და ურწმუნობის გაძლიერება.

ეს დაუშვებელი და შეუწყნარებელი მოქმედებაა. იგი უყოყმანოდ უნდა დავგმოთ.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

## მიტინგი ცაგერში

25 თებერვალს ქალაქ ცაგერში გაიმართა ხალხმრავალი სანქცირებული მიტინგი, რომელიც მოეწყო ლეჩხუმის სახალხო ფრონტის გამგეობისა და წმინდა ილია მართლის საზოგადოების ლეჩხუმის საინიციატივო ჯგუფის ინიციატივით.

მიტინგზე გამოსულებმა დაგმეს 1921 წლის 25 თებერვალს წითელი არმიის მიერ განხორციელებული აქცია, ითქვა, რომ ამ დღეს დაეცა 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ქართული სახელმწიფო, ქართველმა ხალხმა ამ დღეს ღაკარგა დამოუკიდებლობა, რომ 1921 წლის 25 თებერვალს განხორციელებული აქცია იყო ძალდატანებით გასაბჭოება, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, რასაც შემდეგ მოჰყვა ანექსია.

ბოლოს მიტინგის მონაწილეები გაემართნენ 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალისკენ, სადაც ყვავილებითა და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საქართველოსათვის დაღუპულ გმირთა ხსოვნას.

## ხუთწლედი - ვადამდე

## საიმედო სტარტი

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების წლის საგეგმო დავალების შესრულებას წლის დასაწყისშივე ჩაუყარეს საფუძველი ტვიშის კოლმეურნეობის მშრომელებმა, რომლებმაც საზოგადოებრივი და საკარმიდამო მეურნეობებიდან სამშობლოს 18,3 ცენტნერი ხორცი ჩააბარეს და წლის პირველი კვარტალის საგეგმო დავალების შესრულების საიმედო გარანტია შექმნეს.

# ქვეყნის მშრომელებს

(დასასრული).

სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ 20 თებერვალს მიღებულ განცხადებაში გააფრთხილა დესტრუქციული ძალები იმასთან დაკავშირებით, რომ ნუ ეცდებიან შეარყიონ ჩვენი საზოგადოებრივი ხომალდი, დაავალა მთავრობას, ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს უზრუნველყონ მკაცრი კონტროლი იმისადმი, რომ ნებისმიერი მიტინგი მიმდინარობდეს მხოლოდ ხელისუფალთა სანქციით, რომ მკაცრად და განუხრელად იცავდნენ საბჭოთა კანონებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, მხარს უჭერს რა უზენაესი საბჭოს პოლიტიკურ განცხადებას, მოუწოდებს ქვეყნის ყველა პარტიულ ორგანიზაციას, ყველა მშრომელს დაიცვან გარდაქმნა, საქმით შეასრულონ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მოთხოვნები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს კომუნისტებსა და უპარტიოებს, მუშებს, გლეხებსა და ინტელიგენტებს, პროფკავშირებსა და კომკავშირს, ქალებსა და კაცებს, ახალგაზრდობასა და ვეტერანებს ყველგან და ყველაფერში დაიცვან კანონი, დემოკრატიის პრინციპები, წინააღმდეგობა გაუწიონ ყველას, ვინც გვიბიძგებს ქაოსისაკენ, პროვოკაციულად იწვევს კონფლიქტებს, შუღლსა და მტრობას, არყევს საზოგადოებას. სამართალდამცავმა ორგანოებმა მკაცრად უნდა ადევნონ თვალი მართლწესრიგის დაცვას, გაბედულად აღკვეთონ ყოველგვარი ანტიკონსტიტუციური მოქმედება, დაიცვან ადამიანები.

საბოლოო ანგარიშით გადამწყვეტი სიტყვა მშრომელ კაცს ეკუთვნის. ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ მშობლები თავიანთი ორგანიზებულობით, დისციპლინითა და პასუხისმგებლობით, ყოველივე იმის წინააღმდეგ მტკიცე ბრძოლით, რაც ხელს უშლის გარდაქმნას და არღვევს მის აღმშენებლობითს რიტმს, უზრუნველყოფენ იმ გარდაქმნათა წარმატებას, ქვეყანაში რომ გაიშალა ჩვენი პარტიის ინიციატივით.

ახლანდელი რთული სიტუაციიდან ქვეყნის გამოყვანა, ეკონომიკური ზრდის, სოციალური სიჯანსაღის, ღირსეული ცხოვრების გზაზე მისი შემობრუნება შეიძლება მხოლოდ პასუხისმგებლობისა და საღი აზრის, კანონიერების, დისციპლინისა და დემოკრატიის, პატიოსანი შრომის შეხამებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოგიწოდებთ დემოკრატიული ერთიანობისათვის სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ, ქვეყნის ყველა ხალხის, მთელი საზოგადოების კეთილდღეობის, ყოველ სახლში, ყოველ ოჯახში ბედნიერებისათვის.

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.**



**ბელორუსიის სსრ.** ბოინიკსკის რაიონში რედაქციამ დაასნებოვნა მიწა, ათასობით ბავშვის ფსიქიკა, რომლებიც ცხოვრობენ გაზრდილი რადიაქტიურობის ზონაში.

ასეთ შემთხვევაში საჭიროა სისტემატური სამედიცინო კონტროლი.

**სურათზე:** ბოინიკსკის რაიონული საავადმყოფოს ოპერატორები სინჯავენ მომსვლელს.

# საანგარიშო კრებები კოლმეურნეობებსა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში

ტვიში ლეჩხუმში მევენახეობის განვითარების ტრადიციული სოფელია. შორს გაუთქვა სახელი აქ დამზადებულმა ნახევრადტკბილმა სამარკო ღვინომ „ტვიშმა" ლეჩხუმს. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც სხვაგან, სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო დაიკარგა ეს კარგი ტრადიცია. განადგურდა 30-იან, 50-იან წლებში გაშენებული ვენახები და შეიძლება ითქვას, მასივ ვენახს ვეღარც ნახავთ სოფელში.

1988 წელს კოლმეურნეობა მთლიანად გადავიდა ოჯახური იჯარით შრომაზე. სხვა კოლმეურნეობებისაგან განსხვავებით, აქ მევენახეს მატერიალური დაინტერესების მიზნით ჩაბარებული ყურძნის ღირებულების 80 პროცენტს აძლევენ, მაშინ, როცა სხვა კოლმეურნეობებში 65 პროცენტია. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამანაც ვერ უშველა საქმეს. მოიჯარეთა ერთმა ნაწილმა კვლავ არ მოუარა გაპიროვნებულ ვენახებს და დაბალი, ზოგმა კი სრულებით ვერ მიიღო მოსავალი. ნაწილი მოიჯარებისა ხელოვნურადაც კი ამცირებს ვაზის ძირთა რაოდენობას, რათა მეტი სიმინდი და ლობიო მოიწიოს. ყოველივე ამის შედეგი იყო, რომ შარშან კოლმეურნეობამ ვერ შეასრულა ყურძნის დამზადების გეგმა.

ამ დღეებში ტვიშის კოლმეურნეობის საანგარიშო კრებაზე კოლმეურნეობის თავმჯდომარის შ. გოდოლაძის, მოკამათეთა გამოსვლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მევენახეობის და სხვა დარგების განვითარებას. ძირითად იმედებს ამყარებენ გლეხური მეურნეობების ჩამოყალიბებაზე.

კრებაზე ბევრ მტკივნეულ საკითხს გაუსვეს ხაზი, მოითხოვეს მათ გამოსწორებაში დახმარება.

**რ. ლომთაძე** (კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე): კოლმეურნეობას დღეისათვის აწერია 8 ავტომახქანა, რომელთაგან მეტი წილი უვარგისია, მაგრამ დღემდე არ მოხერხდა მათი ჩამოწერა. 1988 წელს საგარეჯოში შეიძინეს მეცხოველეობის ფერმისათვის ნამჯა, მაგრამ იგი დღემდე ვერ შემოიტანეს. სხვადასხვა მიზეზებით. იმის გამო, რომ მოიჯარეებისაგან კოლმეურნეობამ მიიღო უხარისხო სიმინდი და ლობიო, დროულად ვერ გაუკეთეს მას რეალიზაცია, დიდი რაოდენობით გაფუჭდა 1987-88 წლებში მიღებული სიმინდი და ლობიო საწყობებში.

**შ. ასათიანი** (აგრონომი): იჯარულ შრომაზე გადასვლამ ძირითადში დადებითი შედეგი მოგვცა, მაგრამ მოიჯარეთა გარკვეულმა ნაწილმა არ შემოიტანა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სიმინდისა და ლობიოს მოსავალი. ამის გამოა, რომ დღეისათვის 30 ტონის ნაცვლად მიღებულია მხოლოდ 19 ტონა სიმინდი. ანალოგიური მდგომარეობაა მეცხოველეობაშიც. კოლმეურნეებს, ვინც იჯარით გაიყვანა მეწველი პირუტყვი, დღემდე არ ჩაუბარებიათ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველი. კოლმეურნეობას ძალზე ძვირი უჯდება საკვებმოპოვების გაერთიანების მიერ შემოზიდული ნამჯა. ამასთან ვაგონში ნაცვლად 12 ტონისა, არის 7-8 ტონა. ხშირად იძულებული არიან დაცალონ ასეთი ვაგონები, რადგან კომისიის ჩამოყვანამდე, შემოწმებამდე, ცდება ვაგონები და ზარალი კიდევ ზარალს დაემატება.

**ი. ჩაკვეტაძე** (კოლმეურნე): რაიონის სოფლებში სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივას ვხედავთ დღესდღეობით გლეხური მეურნეობის შექმნაში. ამის საილუსტრაციოდ ერთ ფაქტს მოვიყვან: იჯარით აღებულ ჩემს ნაკვეთში არის პანტის, მაყალოს, ბლის საძირეები, მაგრამ გლეხის ბუნებიდან გამომდინარე არ ვაკეთებ ნამყენებს. როცა მეცოდინება, რომ ის ნაკვეთი გადმომეცემა კერძო საკუთრებაში მემკვიდრეობით, ყველაფერს გავაკეთებ ნაკვეთის მოსავლიანობის ამაღლებისათვის.

განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია შიდასასოფლო გზა. სოფლის საუბნო საექიმო. ამბულატორიას ჰყავს უვარგისი სასწრაფო დახმარების ავტომანქანა. ი. ჩაკვეტაძემ სოფლის სახელით მოითხოვა მისი შეცვლა.

**ა. ნემსწვერიძე** (კოლმეურნე): კოლმეურნეობების დღევანდელი სავალალო მდგომარეობა იმის შედეგიცაა, რომ უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობებისაგან მოითხოვენ დიდძალი თანხების ჩარიცხვას სხვადასხვა ორგანიზაციებსა თუ გაერთიანებებზე, რაც მძიმე ტვირთად აწვება კოლმეურნეობას და სოფელს. მაგალითად, ორ ათეულ წელზე მეტია, რაც მოითხოვენ ფულის ჩარიცხვას მეფრინველეობის, მეცხოველეობის სამეურნეობათშორისო გაერთიანებათა, საკოლმეურნეობათშორისო სატყეო მეურნეობის თუ სხვათა შექმნისა და არსებობისათვის, მათგან უკუგება კი კოლმეურნეობას არაფერი აქვს, ასეთი თუ ბევრი სხვა მიზეზით აუცრუვდა გლეხს გული და გარესამუშაოსაკენ უჭირავს თვალი. საჭიროა კიდევ მეტად შემცირდეს და დაიხვწოს კოლმეურნეობის აპარატი. ამას გვიჩვენებს ის შეფარდება, რომ კოლმეურნეობის აპარატის შენახვაზე დახარჯულია 19 ათასი მანეთი, ხოლო კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებაზე 30 ათასი მანეთი.

**რ. ახვლედიანი** (პენსიონერი): ჯერ კიდევ ბევრი სოციალური საკითხია მოუგვარებელი ტვიშის რეგიონში. საღამოს 6 საათის შემდეგ არ მუშაობენ კავშირგაბმულობის განყოფილება და მორიგე ტელეფონისტები, სოფელი მოწყვეტილია რაიონსა თუ ქალაქებს. საჭირო კია შემოღებული იქნას სადღეღამისო მორიგეობა, ან უკიდურეს შემთხვევაში 19 საათამდე მორიგეობა. თვეები გადის, რომ რეგიონი არ მარაგდება თხევადი გაზით, ხშირად იშლება ცაგერი-ტვიშის საავტობუსო მარშრუტი. რეკონსტრუქციას საჭიროებს მდინარე რიონზე ორხვის ხიდი.

კრებაზე ბევრი საჭირბოროტო საკითხი იქნა დაყენებული.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პირველმა მდივანმა ე. კ. გუგავამ.

კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის მეორე მდივანმა კ. ს. მუშკუდიანმა, რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ, აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ ო. შ. ნემსწვერიძემ.

**ნ. ნემსაძე.**

# ასე ფიქრობენ კოლმეურნეები

# როგორი უნდა იყოს საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი?

**გოლო დროს გახშირდა საქართველოს კომკავშირიდან მოსწავლეების, სტუდენტების მასობრივი გამოსვლის შემთხვევები, რამაც კვლავ შეგვახსენა, რომ სასწრაფოდ უნდა მოეწყოს მისი რიგგარეშე ყრილობა. ამასთან დაკავშირებით საქინფორმის კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ბარამიძე.**

—სინამდვილეს ვერსად გაექცევი, რა თქმა უნდა, ძალით კავშირში ვერავის დააკავებ. კაცმა რომ თქვას, არც თავად გვსურს ეს. მიმაჩნია, რომ არ უნდა შეექმნათ პანიკა, საზოგადოების გარდაქმნას უცილობლად მოსდევს ადამიანთა შეგნების განახლება, თითქოსდა მარადიულ ფასეულობათა გადაფასება. ადამიანს, რომელიც არ ეთანხმება კავშირის წესდებას, სრული უფლება აქვს დატოვოს იგი. მაგრამ უეჭველია ისიც, რომ საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი მოვალეა ჰქონდეს მკაფიო პოზიცია, განსაზღვროს თავისი ადგილი, როლი და კონკრეტული ამოცანები რესპუბლიკაში მიმდინარე პოლიტიკური განახლების კონტექსტით. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ რიგგარეშე ყრილობას. მან უნდა მიიღოს ახალი პროგრამა, ახალი პლატფორმა და წესდება, გადაწყვიტოს საქართველოს კომკავშირის სტატუსისა და მისი ცენტრისაგან დამოუკიდებლობის საკითხი. როცა კომკავშირმა უარყო ახალგაზრდობაზე მონოპოლიური უფლებები, უარი თქვა იყოს ერთადერთი ახალგაზრდული ორგანიზაცია, ჩვენ უნდა ვიპოვოთ საკუთარი, ავსებდეთ ღირსეული ადგილი საერთო-სახალხო ეროვნულ მოძრაობაში. ვფიქრობ, საქართველოს კომკავშირი უნდა იყოს შესაბამისი ეროვნული სიმბოლიკის მქონე სრულიად დამოუკიდებელი ორგანიზაცია და, შესაძლოა, შეიცვალოს სახელწოდება.

ჩვენ მზად ვართ ვითანამშრომლოთ რესპუბლიკის ყველა ახალგაზრდულ ორგანიზაციასთან, რომელთა მიზნები შეესაბამება საქართველოს ძირეულ ინტერესებს.

ამ დღეებში გაიმართა შეხვედრა მოსწავლეთა დამოუკიდებელი ლიგისა და მოსწავლეთა კავშირის წარმომადგენლებთან. მათთან საუბრებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ უნდა დაიხვეწოს მოზარდეშთან მუშაობის ფორმები, უკუვაგდოთ დამრიგებლური ტონი მათთან ურთიერთობისას, პრაქტიკაში დავამკვიდროთ გულღია დიალოგები, აზრთა თავისუფალი გაზიარება საჭირბოროტო საკითხებზე.

საქართველოს დამოუკიდებლობაზე ოცნება ოცნებადვე დარჩება, თუ ვერ მივაღწიეთ ეროვნული ძალების კონსოლიდაციას. რესპუბლიკის ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ ხალხის ამ საუკუნოვანი სწრაფვის განხორციელებაში.

ვემხრობით რა აზრთა პლურალიზმს, მზად ვართ მხარი დავუჭიროთ ყველა პროგრესულ იდეას, წამოწყებას, რომლებიც სასარგებლოა რეალური ძლევამოსილი წინსვლისათვის. სამედიცინოდ, დღეს კომკავშირს აღარ აშინებს სხვა ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან პირდაპირი დიალოგი.

# სკოლა და ცხოვრება

ეროვნული სატკივარისა და პრობლემების გათავისება თითოეული ჩვენწანისათვის მამულიშვილური მოვალეობაა. ეროვნული საკითხი უდიდესი გრძნობების და განცდების მომცველია, მით უმეტეს დღეს, პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სულიერად დაძაბულ სამყაროში. საქართველოს აღორძინება, მისი დამოუკიდებლობა, ეკონომიკური და კულტურული ძლიერება, რომ პირდაპირ კავშირშია განათლების, ეროვნული სკოლის აღორძინებასთან ორი აზრი არ არის.

საქართველოს სასკოლო განათლების კონცეფციის პროექტის ძირითად რგოლებში არის მოქცეული მოსწავლეთა ფიზიკური და სამხედრო მომზადების ელემენტები. პროექტში გარკვევით არის მინიშნებული „სამხედრო საქმის თეორიული ცოდნა სამხედრო ხელოვნების ისტორიით, სტრატეგიისა და ტაქტიკის საწყისი ელემენტებით, სპეციალური ლექსიკით, სწავლება მშობლიურ ენაზე უნდა მიმდინარეობდეს, რათა არ გაქრეს ქართული ენობრივი კულტურის მთელი სფერო — სამხედრო საქმე".

განათლების განყოფილება, სამხედრო კომისარიატთან და სკოლების დირექციებთან ერთად ატარებს გარკვეული სახის მუშაობას, მოსწავლე ახალგაზრდობის დაწყებითი სამხედრო მომზადების, ფიზიკური და სამხედრო პატრიოტული აღზრდის ხარისხის სრულყოფისათვის. რამდენადმე მიღწეულია გაუმჯობესება სამხედრო ხელმძღვანელთა ხარისხობრივ შემადგენლობაში, აგრეთვე დაწყებითი სამხედრო და ფიზიკური მომზადების სასწავლო-მატერიალური ბაზის შექმნასა და სრულყოფაში.

ამასთან ერთად საჭიროა აღინიშნოს, რომ რაიონის საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა დაწყებითი სამხედრო მომზადების, სამხედრო პატრიოტული აღზრდის დონე ჯერ კიდევ დაბალია. რესპუბლიკაში შექმნილი ცნობილი მდგომარეობის გამო 1988 წლის დეკემბრის თვიდან საშუალო სასწავლებლებიდან ამოღებულია სატაბელო იარაღი და მცირეკალიბრიანი შაშხანები. ამის შედეგად პრაქტიკული მეცადინეობის ნაწილი დაწყებითი სამხედრო მომზადების პროგრამის შემდეგი თავებიდან, როგორიცაა: საცეცხლე, ტაქტიკური მომზადება არ ჩატარებულა. ამავე მიზეზით არ ყოფილა ჩატარებული რაიონის საშუალო სასწავლებლების უფროსკლასელ ჭაბუკთა სასწავლო-საველე შეკრებები. იგივე მიზეზით რაიონის საშუალო სასწავლებლების უფროსკლასელ მოსწავლეებთან არ ტარდება მოსამზადებელი ვარჯიში მცირეკალიბრიანი შაშხანებიდან სროლაში, რაც უარყოფითად მოქმედებს „კალაშნიკოვის" ავტომატიდან საბრძოლო სროლის ხარისხზე. განათლების განყოფილებისა და დოსაააფის რაიონული კომიტეტის თაოსნობით რაიონის საშუალო სკოლებს დაურიგდათ გარკვეული რაოდენობის პნევმატური შაშხანები, რომლითაც რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობა ეუფლება სროლისათვის საჭირო ჩვევებს.

რაიონის საშუალო სკოლებში გარკვეული სახის მუშაობა არის გაწეული დაწყებითი სამხედრო და ფიზიკური მომზადების სასწავლო-მატერიალური ბაზის შექმნასა და სრულყოფაში. ყველა სკოლაში მოწყობილი არის ხარაღის შესანახი ოთახი, სადაც დამონტაჟებული არის სიგნალიზაცია წესისამებრ. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემადგენელი ნაწილია სასროლი ტირი, რომლის გარეშე შეუძლებელია სროლის დაუფლება. სასროლი კაპიტალური ტირები აქვთ მოწყობილი ცაგერის, ზუბის, ალპანის საშუალო სკოლებს, ლაჯანის საშუალო სკოლა-ინტერნატს, პროფტექნიკურ სასწავლებელს, ხოლო მარტივი ტიპის სასროლი ტირები აქვთ ლაილაშის, ტვიშის, ჩხუტელის, ბარდნალის საშუალო სკოლებს. სრულყოფილ მოწყობას საჭიროებს სატანვარჯიშო ქალაქები და წინაღობათა ზოლები.

საქართველოს სასკოლო განათლების კონცეფციის პროექტით განსაზღვრული: „სამხედრო სპორტული მომზადება ითვალისწინებს იარაღის ფლობას, ალმოსავლურ და ქართულ ორთაბრძოლებში დაოსტატებას, გოგონებმა უნდა შეიძინონ მოწყალეებიდან სროლაში, რაც უარყოფითად მოქმედებს „კალაშნიკოვის" ავტომატიდან საბრძოლო სროლის ხარისხზე. განათლების განყოფილებისა და დოსაააფის რაიონული კომიტეტის თაოსნობით რაიონის საშუალო სკოლებს დაურიგდათ გარკვეული რაოდენობის პნევმატური შაშხანები, რომლითაც რაიონის

# აღვზარდოთ ეროვნული სული

ბოსწავლე ახალგაზრდობა ეუფლება სროლისათვის საჭირო ჩვევებს.

რაიონის საშუალო სკოლებში გარკვეული სახის მუშაობა არის გაწეული დაწყებითი სამხედრო და ფიზიკური მომზადების სასწავლო-მატერიალური ბაზის შექმნასა და სრულყოფაში. ყველა სკოლაში მოწყობილი არის ხარაღის შესანახი ოთახი, სადაც დამონტაჟებული არის სიგნალიზაცია წესისამებრ. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემადგენელი ნაწილია სასროლი ტირი, რომლის გარეშე შეუძლებელია სროლის დაუფლება. სასროლი კაპიტალური ტირები აქვთ მოწყობილი ცაგერის, ზუბის, ალპანის საშუალო სკოლებს, ლაჯანის საშუალო სკოლა-ინტერნატს, პროფტექნიკურ სასწავლებელს, ხოლო მარტივი ტიპის სასროლი ტირები აქვთ ლაილაშის, ტვიშის, ჩხუტელის, ბარდნალის საშუალო სკოლებს. სრულყოფილ მოწყობას საჭიროებს სატანვარჯიშო ქალაქები და წინაღობათა ზოლები.

საქართველოს სასკოლო განათლების კონცეფციის პროექტით განსაზღვრული: „სამხედრო სპორტული მომზადება ითვალისწინებს იარაღის ფლობას, ალმოსავლურ და ქართულ ორთაბრძოლებში დაოსტატებას, გოგონებმა უნდა შეიძინონ მოწყალეებიდან, რაც უარყოფითად მოქმედებს „კალაშნიკოვის" ავტომატიდან საბრძოლო სროლის ხარისხზე. განათლების განყოფილებისა და დოსაააფის რაიონული კომიტეტის თაოსნობით რაიონის საშუალო სკოლებს დაურიგდათ გარკვეული რაოდენობის პნევმატური შაშხანები, რომლითაც რაიონის

## საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროში

## უმაღლესი სასწავლებლების ფაკულტეტები რესპუბლიკის რეგიონებში

**საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შეიქმნას რესპუბლიკის ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის ახალი სასწავლო ქვედანაყოფები. ეს საშუალებას მისცემს მოსახლეობას წარმოებას მოუწყვეტლივ მიიღოს უმაღლესი განათლება.**

მიიღო რა მხედველობაში აგრეთვე მთელი რიგი უმაღლესი სასწავლებლების რექტორატების აზრი და წინადადებები, კოლეგიამ დაადგინა:

1990 წლის 1 სექტემბრიდან ქალაქ ახალციხეში გაიხსნას თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტი სპეციალობებით: ქართული ენა და ლიტერატურა (30 კაცი), ისტორია (30 კაცი), სოციალური და ეკონომიკური დაგეგმვა (სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სპეციალიზაციით.—40 კაცი).

ქალაქ ბოლნისში ამოქმედდება თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფაკულტეტი. სპეციალობებით: ქართული ენა და ლიტერატურა (35 კაცი), რუსული ენა და ლიტერატურა (35 კაცი), ისტორია (35 კაცი), დაწყებითი სწავლების მეთოდიკა და პედაგოგიკა (35 კაცი).

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფაკულტეტი გაიხსნება ქალაქ ზუგდიდში.

დაბა ვალეში კი ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებს მიიღებს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი.

ბოგდანოვკის რაიონის სოფელ გორელოვკაში სასწავლო-საექსპერიმენტო მეურნეობის შექმნას აპირებს საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-ვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი. კოლეგიამ დაავალა ამ უმაღლესი სასწავლებლის რექტორს (გ. აგლაძე) უზრუნველყოს ასეთი მეურნეობის მოწყობა დმანისის რაიონშიც.

ცნობად არის მიღებული, რომ ფუნქციონირება დაიწყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მარნეულის (კაზრეთის) ფილიალმა. აგრეთვე ის ფაქტი, რომ მარნეულის რაიონის ა. წერეთლის სახელობის კოლმეურნეობაში მოქმედებს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საცდელ-საკონსულტაციო პუნქტი.

(საქინფორმი).

## მკითხველებს გვწერენ

### ხელმარჯვე ოსტატი

მადლიერების გრძნობა დღეს, სამწუხაროდ, დეფიციტია, მაგრამ არაფრით არ შემიძლია მადლობა არ ვუთხრა ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის შრომის მასწავლებელს სულიკო ხვადაგიანს, რომელმაც თავისივე ინიციატივით შეუკეთა ბაგა-ბაღის პატარებს სკამები. მოგეხსენებათ, ქარხნული წესით დამზადებული სკამები ძალიან სუსტია, ერთი წლის ხმარებასაც ვერ უძლებს, არა და ახლის შეძენაც ძლიერ გაგვიჭირდა, რადგანაც იგი ვერც სამტრედიის და ვერც რესპუბლიკის სხვა ბაზებში ვერ ვიშოვეთ.

ეს დაშლილი სკამები და სხვა ინვენტარი მოსწავლეებთან ერთად შეაკეთა. ამით ორი საქმე გააკეთა, ჩვენ ხომ დაგვეხმარა, ხოლო თავის მოსწავლეებს ამ დახმარებითა და პირადი შრომითი მონაწილეობით დადებითი თვისებები ჩაუნერგა.

საერთოდ, სულიკო ყოველთვის გვერდით გვიდგას, მისი მარჯვე და ოქრო ხელები ბევრ სასარგებლოს გვიკეთებს.

მადლობა მას და მის მოსწავლეებს.

**ლ. ფალავანდიშვილი,**
ქვედა ცაგერის ბაგა-ბაღის გამგე.

## წესრიგში მოჰყავთ ტექნიკა

თებერვალი დასასრულს უახლოვდება, გაზაფხული კარზეა მომდგარი, მაგრამ ჯერჯერობით ისევ თოვლის საბურველშია მაღალმთიანი ლაილაში. ზამთრის ამ დღეებს გაზაფხულისათვის მოსამზადებლად იყენებენ აქაური მშრომელები. კოლმეურნეობაში ოჯახური იჯარაა და ამთავითვე თადარიგია საჭირო, რომ დროულად მიაბარონ თესლი ხნულს.

სულ 46 ჰექტარი უნდა დაეთმოს სამარცვლე სიმინდს. აღნიშნული ფართობის დასახნავად მზადყოფნაში მოჰყავთ ტექნიკა, სამი სახნავი გუთანი გარემონტებული აქვთ. ორი ტრაქტორი, რომელსაც გამოცდილი მექანიზატორები — მიტუშა მესხაძე და ჯუსტან გოქაძე მართავენ, უკვე მზადყოფნაშია.

მესამე ტრაქტორს (ტრაქტორისტი ვ. ნემსაძე) ძრავა აქვს დაზიანებული, კოლმეურნეობას მიცემული აქვს დაკვეთა და ისიც ორ კვირაში სამუშაო მდგომარეობაში იქნება მოყვანილი.

* * *

### მადლობა

პირველ რიგში მადლობა ყველას, ვინც ჩვენი რაიონის მშრომელებს ასეთი სიხარული გვარგუნა—დაინიშნა და რეგულარულად მოძრაობს ავტობუსი „ცაგერი-თბილისი". მგზავრები მადლიერებას გამოთქვამენ აგრეთვე მძღოლთა კეთილსინდისიერ მომსახურებაზე. გამოირიცხა დროის დეფიციტი და ყოველგვარი ნერვიულობა თბილისამდე მგზავრობასთან დაკავშირებით.

ამას წინათ ცაგერიდან ვიმგზავრე ამ ავტობუსით ქუთაისამდე, რომელსაც მართავდა ოლეგ ალექსანდრეს ძე ბუხაიძე. ავტობუსში დამრჩა ხელჩანთა საჭირო საბუთებით და ფულით. იმედიც აღარ მქონდა დაკარგულის პოვნის, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, თბილისიდან უკან დაბრუნებულმა მძღოლმა დამიბრუნა ხელჩანთა.

მადლობა მას კაცურ-კაცობისა და კეთილსინდისიერებისათვის.

**თინა კოპალიანი,**
სოფ. ქვედა ცაგერი.

# ...ეროვნული

# ...ეროვნული

# ...ეროვნული

## მსოფლიო ახალი პოლიტიკური აზროვნებისაკენ

# სოციალიზმი დემოკრატიაა

**მსოფლიო** მოვლენების განვითარების ახლანდელი ტემპი ნამდვილად შეუჩერებელია. თამამად შეიძლება იმის მტკიცება, რომ ეს ბოლო წლები ისტორიაში შევა, როგორც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კაცობრიობის მომავლისათვის, შეიძლება ითქვას, ყველაზე მნიშვნელოვანი ომის შემდგომ.

გარდაქმნამ საბჭოთა კავშირში, მიუხედავად სიძნელეებისა და წინააღმდეგობებისა, წინ გადადგა უზარმაზარი ნაბიჯი, შეიძინა შეუქცევადი ხასიათი, პირველმა ნამდვილმა დემოკრატიულმა არჩევნებმა ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ორი ყრილობის მუშაობამ, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიებმა, მათ მიერ მიღებულმა მნიშვნელოვანმა კანონებმა, რომლებიც საფუძველს უყრის სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნას, პარტიის გარდაქმნის პროცესებმა, რადიკალურმა ეკონომიურმა რეფორმამ, მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის განმტკიცებამ, საჯაროობისა და დემოკრატიის გაფართოებამ—ნამდვილად შეცვალა ჩვენი ქვეყანა, შეცვალა მასზე წარმოდგენა საზღვარგარეთ. გაქრა ათწლეულების მანძილზე შექმნილი „მტრის სახე", გაიზარდა ნდობა საბჭოთა კავშირისა და მისი ხელმძღვანელობისადმი, ავტორიტეტი მოიპოვა საბჭოთა საგარეო პოლიტიკამ.

სსრ კავშირში მიმდინარე გარდაქმნა გამომძღვანდა ბევრი სოციალისტური ქვეყნის ცვლილებებში. ისინი სხვადასხვანაირად მიმდინარეობს, გამოირჩევა ბევრი თავისებურებით თითოეულ ქვეყანაში. იქ, სადაც ხელმძღვანელებმა ვერ გაიგეს დროის გამოძახილი, აყოვნებდნენ გარდაუვალ რეფორმებს, ამ ცვლილებებმა მიიღო მშფოთვარე, აფეთქებადი ხასიათი. ხელისუფლების სათავეში მდგარ პარტიებს ცალკეულ შემთხვევებში ძვირად დაუჯდათ ცხოვრებისაგან ჩამორჩენა. ზოგან კომუნისტებმა—ყოველ შემთხვევაში პირველ ხანებში—ხელიდან გაუშვეს პოლიტიკური ინიციატივა, და რომ დაბრუნონ წამყვანი როლი გარდაქმნის მსვლელობაში, მათთვის არცთუ იოლი იქნება. არენაზე გამოვიდა ახალი პოლიტიკური ძალები. პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიების ყრილობებმა გვიჩვენა, რომ ეს პარტიები თავიანთ განახლებას ხედავენ დემოკრატიზაციაში და მასებზე დაყრდნობით, მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში. სერიოზული ცვლილებები ხდება რუმინეთსა და სოციალიზმის სხვა ქვეყნებში.

დასავლეთში, და არა მარტო იქ, დღეს ზოგჯერ აკეთებენ დასკვნას „სოციალიზმის კრახზე". მაგრამ სინამდვილეში ჩვენს ოპონენტებს უნდა ეუთხრათ: კრახი განიცადა არა სოციალიზმმა, არამედ მხოლოდ მისმა ადმინისტრაციულ-მბრძანებლურმა ვარიანტმა. ეს ესმით დასავლეთის სერიოზულ პოლიტიკოსებსა და მიმომხილველებსაც.

საყურადღებოა, რომ დოგმებისა და დეფორმაციების უარყოფის პრ[illegible] იმის უკუგდება, რაც უკვე მისცა ხალხს [illegible] დემოკრატია არ შეიცვალოს დემაგოგიით, ერთი იდეოლოგიური სტერეოტიპები—სხვა, უფრო ყალბით. საბჭოთა საზოგადოება მთლიანობაში რჩება ფაქტი სოციალისტური არჩევანის მყარად მიმდევარი, და ჩვენ გზას ვერ აგვაცდენენ ვერც კონსერვატიული, და ვერც მემარცხენე რადიკალური უკიდურესობანი.

თუ ეილაპარაკებთ აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე მოვლენებზე, მათი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია—დემოკრატიზაცია, სოციალიზმის განახლება. ყველა სპეციფიკაში ეს ცვლილებები მიდის იმავე მაგისტრალური მიმართულებით, რითაც საბჭოთა გარდაქმნა.

ჟურნალი „პარტიინაია ჟიზნ".

## მარსისაკენ

„**დრო**ა ვიფიქროთ უფრო მჭიდრო თანამშრომლობაზე მარსის სამფლობელოში", —განაცხადა აკადემიკოსმა, ვერნადსკის ინსტიტუტის რექტორმა ვალერი ბარსუკოვმა.

გასულ კვირას პარიზში, კოსმოსური სივრცის კვლევით ცენტრში უამრავმა მეცნიერმა მოიყარა თავი. მათ უნდა შეეჯამებინათ „ფობოსის" ექსპედიციის შედეგები.

მარსი მთვარეზე ბევრად მეტი მანძილითაა დაშორებული დედამიწიდან, ცოტა არ იყოს, „ურჩიცაა" სხვადასხვა ხელსაწყო დანადგარებისადმი.

წითელი პლანეტა დედამიწის ბინადართა კოლიმატორიაშია. ამით ცოტაა თქმული, 1992 წლიდან 2001 წლამდე ციური, მექანიზმის უზუსტესი პრინციპებით მარსზე ყოველ ორ წელიწადში ერთჯერ საიდუმლოებით მოცული ფანჯრები გაიღება. ყველაფერი მიზნობრივად უნდა იქნას გამოყენებული. პირველნი, ამ საქმეში, ალბათ, ამერიკელები იქნებიან, 1992 წელს ისინი გაუშვებენ თავიანთ კოსმოსურ თანამგზავრს პლანეტის ირგვლივ ორბიტაზე დასაშვებად. „გნეს"-ი თავის საბჭოთა პარტნიორებს სთავაზობს პატარა კაბინებს დამჭერებით, რომელიც დაეშვება ჰელიუმით დატენილი ჰაერბურთებით მარსის ზედაპირზე. ჰაერბურთებით საღამოს დაეშვებიან. აფრინდებიან გამთენიისას — გადაუფრენენ პლანეტას, შემდეგ ისევ დაეშვებიან.

1996 წლის დეკემბერში ფობოსისაკენ გაემართება ახალი ექსპედიცია. იგი მოინახულებს მარსს და გეზს აიღებს ასტეროიდებისაკენ. მეცნიერებს აინტერესებთ ეს პატარა ციური სხეულები, რამე�u მათ, მზის სისტემის „დაბადების" მოწმედ მიიჩნევენ.

1998 წლისათვის საბჭოთა მეცნიერებს განზრახული აქვთ მარსზე გადაიტანონ ავტომატური მანქანები. ამ 500-კილოიან ტრანსპორტს შეუძლია 100-დან 1500 კმ-მდე სიჩქარის განვითარება.

„ლუშანიტე"



თურქმენეთის სსრ. რესპუბლიკაში დიდი ხანია ეწევიან ჯიშიანი ცხენების მოშენებას. ისინი გამოირჩევიან სილამაზით, ამტანობითა და სისწრაფით.

ამ ჯიშის ათეულობით სპორტული ცხენი იყიდება ყოველწლიურად საერთაშორისო აუქციონებზე.

სურათზე: ცხენის გამწვრთნელი გ. აკმერგენოვი ახალი ჯიშის ცხენთან „პიკი".

## ეს საინტერესოა

**ლონდონი.** კოსმოსური წარმოშობის დაავადებაგრიპის ეპიდემია გამოწვეულია მზის ლაქებით. ასეთ ვარაუდს გამოთქვამენ ჟურნალ „ნეიჩურის" ფურცლებზე ბრიტანელი ასტრონომები ფრედ ჰოილი და ჩანდრა ვიკრამასინგხი უელსის უნივერსიტეტიდან. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ გრიპის ვირუსები სხვა ელემენტარულ ორგანულ შენაერთებთან ერთად მზის სისტემაში კოსმოსის სიღრმეებიდან შეაქვთ კომეტებს. ჩვენი პლანეტის მიზიდულობის ზონაში მოხვედრისას ისინი თავს იყრიან მიწის ატმოსფეროს ზემო ფენებში და იქ იმყოფებიან მანამ, ვიდრე „მზის ქარის" მძლავრი ნაკადები მაქსიმალური მზის აქტივობის პერიოდებში მათ არ გამოდევნიან მიწის ზედაპირზე.

(საკდესი).


## ბილეთები

ნატო გრიშას ასულ მეშველიანს
ლევან ჯიუს ძე ბურჯალიანს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერისათვის სასახელო ვაჟკაცი, შემატებოდეს მრავალი და-ძმა.

ორბელის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.



**რედაქტორი**

**ნ. ნემსაძე.**


## ტელევიზია დამლუპველად მოქმედებს ბავშვის ფსიქიკაზე

**სუსტი** მოსწრება, ყურადღების მოკრების უუნარობა, ცუდი მეხსიერება, უკიდურესი აღგზნებადობა, უძილობა — აი ასეთია ბავშვთა სატელევიზიო გადაცემათა გატაცების ზოგიერთი შედეგი. ამ დასკვნამდე მივიდა ფრანგი მეცნიერ-ფსიქიატრი მარსელ რუფო.

ექვსიდან თოთხმეტ წლამდე ასაკის ფრანგ ბავშვთა 15 პროცენტზე მეტი ყოველდღიურად ორ საათზე მეტ ხანს ატარებს ტელევიზორთან. სწორედ ისინი სწავლობენ ყველაზე ცუდად და ყველაზე მეტ საზრუნავს უჩენენ მასწავლებლებს, იმ ბავშვებს, რომლებიც ტელევიზორს უყურებენ დღეში არაუმეტეს ორმოცდაათი წუთისა, როგორც წესი აქვთ კარგი მოსწრება და ფსიქიკურად ამტანები არიან. მეცნიერის მიერ ჩატარებული ცდები ნათელყოფს, რომ იმ ბავშვებს, რომლებიც ტელევიზორთან ატარებენ დღეში ოცდაათ წუთამდე, შეუძლიათ დაიმახსოვრონ ოცდაათამდე პირობითი სიმბოლო, მაშინ, როდესაც ასოცდაათი წუთის განმავლობაში მაყურებელთ არაუმეტეს — ხუთი-ექვსი სიმბოლო. რუფოს აზრით ბავშვებზე დამლუპველად მოქმედებს არა მარტო ჩხუბით გადატვირთული იაპონური მულტფილმები, არამედ ევრეთ წოდებული მშვიდი გადაცემებიც.


შვილები ზაურ, თინა, ძმა ვარლამი, რძალი მანანა, შვილიშვილები თინა, ბელა, ლელა, გიზო, იზო ხაბულიანები, ქეთინო, მერაბ გუგავები, სიძე მევლუდ ყვირილიანი, შვილთაშვილი გიორგი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვერა მიხეილის ასული თუთისანი-ხაბულიანი.

დაკრძალვა 1 მარტს, ხუთშაბათს, სოფ. ჩქუმში.

გივი, ქორა ლეთოდიანები, შოთა ბერიძე, ჯიბილო მეშველიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თინა ვანიჩქას ასული მდივანი.

რაფიელ, ბორის კვირკაშვილები, ჯაბუ ხეცურიანი, დომენტი მეშველიანი, კაკო მურცხვალაძე, კარლო მეშველიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გალინე პეტრეს ასული კვირკაშვილი-ეფაძე.

მეუღლე მიშა, შვილები ეუქუნა, გულვერი, იგრანი, ლეილა, ჰამლეტი, ამირანი, ტარიელი, ავთანდილი, რძლები გალია, ლუსია, გიული, მარინე, ტატიანა, ლენა, სიძეები შაქრო ქობულაძე, ქორა, დომენტი მეშველიანები, კაკო მურცხვალაძე, შვილიშვილები, ენვერი, ავთანდილი, გოჩა, ნინო, თემური, ნუგზარი, ელზა, ნათია, მიშა, ნანა, ზურა, მირიანი, პაატა, კახა, ლია, თეა, ძმა რაფიელი, დები სერნო, ლიდა, დაშა, ძმისშვილები, დისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გალინე პეტრეს ასული კვირკაშვილი-ეფაძე.

დაკრძალვა 3 მარტს, შაბათს, სოფ. ჩხუტელში.



**ჩვენი მისამართი:** 384106 ცაგერი, ლენინის ქ. №56. **ტელეფონები:** რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-3[illegible], განყოფილებების: ხოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა 1 ინდექსი 66539, ტირაჟი 4461

საქართველოს სსრ ბეჭდითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ჭუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.